GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

18 Eylül / სექტემბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	0.9%

Irakli Garibashvili Recep Tayyip Erdoğan İle Görüştü

ირაკლი ღარიბაშვილი რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Sn. Recep Tayyip Erdoğan ile bir araya geldi.

New York'ta Birleşmiş Milletler Genel Kurulu kapsamında düzenlenmiş toplantıda bölgesel güvenliği konuları ve iki ülkenin stratejik ortaklığının sonuçları ele alınıp ileriki işbirliği perspektifleri belirlendi.

Sn. Garibashvili'ye göre, Gürcistan ve Türkiye işbirliğinde hem ekonomik hem siyasi boyutlara yansıyan ciddi bir ilerleme kaydetti.

Gürcistan Başbakanı'nın dediği gibi, Gürcistan ve Türkiye arasında mevcut bölgesel projeler her iki ülkeye daha fazla ekonomik bağımsızlığı, güvenliği ve dirençliliği getiren etkili stratejik işbirliği, sürdürülebilir kalkınma ve güvenilir ortaklığın net bir örneğidir.

Taraflar ayrıca bölgedeki güvenlik ortamı görüştü. Sn. Irakli Garibashvili sorunların barışçıl müzakereler yoluyla çözülmesinin önemi vurguladı.

Hükümet Başkanı Sn. Recep Tayyip Erdoğan'a Gürcistan'ın egemenliği, toprak bütünlüğü ve Avrupa ile Kuzey Atlantik entegrasyonu yolunda vermiş olduğu destekten dolayı teşekkürlerini sundu.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს, ასევე ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის შედეგები მიმოიხილეს და სამომავლოდ თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები დასახეს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველომ და თურქეთმა თანამშრომლობის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს, რაც აისახა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ განზომილებაში.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

მისივე თქმით, არსებული რეგიონული პროექტები ეფექტური სტრატეგიული თანამშრომლობის, მდგრადი განვითარებისა და საიმედო პარტნიორობის ნათელი მაგალითია საქართველოსა და თურქეთს შორის, რაც მეტ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებასა და მედეგობას მოუტანს ორივე ქვეყანას.

მხარეებმა ასევე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით დარეგულირების მნიშვნელობას.

მთავრობის მეთაურმა რეჯეფ თაიფ ერდოღანს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

Gürcistan İçin 2. Yatırımcı Ülke Türkiye Oldu

TOP - მეორე ინვესტორი ქვეყანა თურქეთია

2023'ün 2. Çeyreğinde Gürcistan'a yapılmış 505.7 milyon Dolar'lık doğrudan yabancı yatırımlara göre, yatırımcı ülkeler sıralamasında 2. sırada Türkiye yerini almıştır.

Ön verilere göre, Nisan-Haziran döneminde komşu ülkeden 71 milyon Dolar'dan daha fazla yatırım yapıldı. Geçen senenin 2. çeyreğinde Türk yatırımın hacmi 20.5 milyon, 2021 yılın aynı döneminde ise 30.9 milyon Dolar olduğunu belirtmemiz lazım.

Sektörel Sıralaması Aşağıdaki Gibidir:

1. Elektrik enerjisi, gaz, buhar ve iklimlendirilmiş hava tedariki: 54.8 Milyon Dolar;
2. Sanat, eğlenme ve dinlenme: 12 Milyon Dolar;
3. Toptan ve perakende ticaret; otomobil ve motosiklet tamiri: 5 Milyon Dolar;
4. İmalat sanayii: 3.5 Milyon Dolar;
5. İnşaat: 2.7 Milyon Dolar;
6. Finans ve sigorta faaliyetleri: 2.5 Milyon Dolar;
7. Mesleki, bilimsel ve teknik faaliyetler: 2.4 Milyon Dolar;
8. Eğitim: 1.1 Milyon Dolar;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

9. Konaklama ve yiyecek tedariki sağlayan faaliyetler: -6 Milyon Dolar;
10. Ulaşım ve depolama: -8.8 Milyon Dolar.

2023 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული 505.7 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორი ქვეყნების რეიტინგში მეორე ადგილი თურქეთმა დაიკავა.

წინასწარი მონაცემების მიხედვით, მეზობელი ქვეყნიდან აპრილ-ივნისის პერიოდში 71 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის მეორე კვარტალში თურქული ინვესტიციის მოცულობა 20.5 მლნ დოლარს, 2021 წლის ამავე პერიოდში კი 30.9 მლნ დოლარს შეადგენდა.

სექტორების რეიტინგი კი ასეთია:

1. ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: 54.8 მლნ დოლარი;
2. ხელოვნება, გართობა და დასვენება: 12 მლნ დოლარი;
3. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 5 მლნ დოლარი;
4. დამმუშავებელი მრეწველობა: 3.5 მლნ დოლარი;
5. მშენებლობა: 2.7 მლნ დოლარი;
6. საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები: 2.5 მლნ დოლარი;
7. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 2.4 მლნ დოლარი;
8. განათლება: 1.1 მლნ დოლარი;
9. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: -6 მლნ დოლარი;
10. ტრანსპორტი და დასაწყობება: -8.8 მლნ დოლარი.

Hükümet Bu Sene Yabancı Uyruklu Vatandaşlara 45 000 GEL Tutarında Yüksek Lisans Bursu Verecek

მთავრობა წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე 45 000 ლარის სამაგისტრო გრანტს გასცემს

Eğitim Bakanlığı 2023-2024 eğitim öğretim yılında yabancı uyruklu vatandaşlara yüksek lisans bursu verilmesine ilişkin devlet programı onayladı.

Eğitim Bakanı'nın talimatına göre, 2023-2024 eğitim öğretim yılında Gürcistan'ın yüksek öğrenim kurumlarında akredite yüksek lisans programlarına kayıtlı yabancı uyruklu vatandaşlara yönelik yıllık burs miktarı 45 000 GEL olarak belirlendi.

Program çerçevesinde yabancı uyruklu vatandaşlar akredite yüksek lisans programı için 2023'ün yüksek lisans giriş sınavından geçmeleri halde devlet bursundan yararlanabilecekler.

Çifte vatandaşlık sahibi yabancı uyruklu vatandaş olarak yüksek lisans adaylarının mutlak tasnif belgesinde yer almaması durumunda program kapsamında burs alabilir.

განათლების სამინისტრომ, 2023-2024 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა.

განათლების მინისტრის ბრძანებით, 2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა 45 000 ლარი იქნება.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს, თუ იგი როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, არ არის შეყვანილი მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტში.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Mali Borç Nedeniyle Öğrenci Statüsü İptal Edilen Kişilerin Mevcut Borçları Silinecektir

ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნულდებათ

Gürcistan Başbakanı'nın kararına göre, mali borç nedeniyle öğrenci statüsü iptal edilen kişilere borç affı uygulanacaktır.

Eşi benzeri görülmemiş karardan toplam 40 000 000 Lari'ye kadar borcu silinecek yaklaşık 30 000 özel ve devlet üniversitelerin öğrencisi olan Gürcü vatandaşı faydalanacaktır.
Yıllar boyunca eğitim masrafları karşılamak öğrenciler için bir sorun haline geldi- onlar çoğu kez mali borç nedeniyle öğrenci statülerini iptal ederlerdi.
Bugünkü şartlarda yeni karar sonucunda isteğine göre öğrenci statüsünü yenilenme ve eğitime devam etme imkanı verilecek olan özel ve devlet üniversitelerde yaklaşık 30 000 borçlu Gürcü vatandaşı bulunmaktadır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნულდებათ.
უპრეცედენტო გადაწყვეტილება შეეხება საჯარო და კერძო უნივერსიტეტების, საქართველოს მოქალაქე დაახლოებით 30 000-მდე სტუდენტს, რომლებსაც ჯამში 40 მილიონამდე ლარის დავალიანება ჩამოეწერება.
წლების განმავლობაში სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის დაფარვა პრობლემას წარმოადგენდა - ხშირად ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტები იჩერებდნენ სტატუსს. დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში ასეთი დაახლოებით 30 000-მდე საქართველოს მოქალაქე სტუდენტია, რომელთაც ახალი გადაწყვეტილების შედეგად, სურვილის შემთხვევაში, სტატუსის აღდგენისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Batum'da Yeni İnşa Edilmiş Satılık Daire Fiyatları %20, Eski Daire Fiyatları %3 Artış Gösterdi

ბათუმში ახალი ბინების ფასი 20%-ით, ხოლო ძველის 3%-ით გაიზარდა

Türkiye Hükümeti 500 ve 1000 Liralik Banknot Basmayı Planlamıyor

თურქეთის მთავრობა 500 და 1000 ლირის ნომინალის ბანკნოტების დაბეჭდვას არ გეგმავს

Ağustos Ayında Rusya'dan Havaleler %45.6 Azaldı

აგვისტოში რუსეთიდან ფულადი გზავნილები 45.6%-ით შემცირდა

8 Ayda Bakü-Tiflis-Ceyhan Üzerinden Petrol Taşıma Oranı %6, Geçiş %10 Arttı

რვა თვეში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით ნავთობის ტრანსპორტირება 6%-ით, ტრანზიტი კი 10%-ით გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Mobilya Yıllık Olarak %20-30 Pahalılaştı

ავეჯი წლიურად 20-30%-ით გაძვირდა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6333 TRY/GEL – 0.0976 EUR/GEL – 2.8076 GBP/GEL – 3.2695

USD/GEL

11 – 18 Eylül 2023



USD/TR

11 – 18 Eylül 2023

TRY/GEL

11 – 18 Eylül 2023

BTC – 28 852. 9

11 – 18 Eylül 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING